ფრაქციის წესდება

მუხლი 1.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VIII მოწვევის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“ (შემდგომში, ფრაქცია) არის საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, თბილისის საკრებულოს რეგლამენტისა და ამ წესდების შესაბამისად მოქმედი საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.

მუხლი 2.

1. ფრაქციის უმთავრესი მიზანია, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს სამართალშემოქმედებით პროცესში და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას; ჩაერთოს მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში, განახორციელოს საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლი.
2. ფრაქციის ამოცანაა გამოიყენოს ყველა არსებული მექანიზმი და ინსტრუმენტი მუნიციპალიტეტის და მისი მაცხოვრებლების ინტერესების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის, ბიუჯეტის ხარჯვის კონტროლის მექანიზმის ჩამოყალიბების გზით.

მუხლი 3.

ფრაქციის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

1. საკრებულოში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ინიცირება;
2. საკრებულოს მიერ შექმნილი და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული პირების/ორგანოებისთვის კითხვით მიმართვა;
3. საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის მოთხოვნა;
4. საკრებულოს კომისიაში და საკრებულოს სხდომაზე აზრის გამოთქმა საკრებულოს მიერ ასარჩევი, დასანიშნი და თანხმობა მისაცემი კანდიდატურების თაობაზე.
5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 4.

1. ფრაქციის მმართველობის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა, რომელიც, როგორც წესი, იმართება თვეში ერთხელ და უფლებამოსილია, თუ ესწრება ფრაქციის წევრთა შემადგენლობის უმრავლესობა.
2. ფრაქციის სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან ფრაქციის წევრთა უმრავლესობის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
3. ფრაქციის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
4. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია: მოამზადოს და საკრებულოს განსახილველად წარუდგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები; მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვის თაობაზე; აირჩიოს ფრაქციის თანამდებობის პირები.

მუხლი 5.

1. ფრაქციის წევრი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ფრაქციის საქმიანობაში; დაიცვას ფრაქციის წესდება; შეასრულოს ფრაქციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, არ განახორციელოს ფრაქციის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო ქმედება.

2. ფრაქციის წევრი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გავიდეს ფრაქციის შემადგენლობიდან, რის შესახებაც 3 დღის ვადაში წერილობით უნდა აცნობოს ფრაქციის თავმჯდომარეს, ბიუროს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

3. ფრაქციის წევრის ფრაქციის შემადგენლობიდან გარიცხვა ხდება ფრაქციის წევრის მოთხოვნის საფუძველზე სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ფრაქციის მიზნებს ან/და არასაპატიო მიზეზით არღვევს ფრაქციის წესდებას.

4. ფრაქცია, თავისი შემადგენლობიდან, ფრაქციის რეგისტრაციამდე ფრაქციის წევრთა შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს(მოადგილეებს).

5. ფრაქციის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ფრაქციას ჰყავს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე, ნიშნავს და ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოს მიერ ფრაქციისათვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ასაყვანად გამოყოფილი წლიური სახელფასო ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი 6.

ფრაქციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიცირების უფლება აქვს ფრაქციის წევრს. ფრაქციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფრაქციის სხდომა, თუ აღნიშნულს მხარს დაუჭერენ ფრაქციის წევრები ერთხმად, რის შესახებაც სამი დღის ვადაში წერილობით ეცნობება ბიუროს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

ფრაქციის თავმჯდომარე ზაქარია წიკლაური

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე

ოთარ ჩრდილელი

ფრაქციის წევრი:

ირაკლი ბენდელიანი